

ქეთევან მარგიანი<sup>1</sup>

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/sou.2022.20.04>

**მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული რიტუალების  
ამსახველი კოლოკაციები სვანურში<sup>2</sup>  
(ეთნოლინგვისტური ანალიზი)**

**აბსტრაქტი.** ეთნოლინგვისტიკაში ტერმინით *კოლოკაცია* აღინიშნება ტრადიციებით გამაგრებული სხვადასხვა სტერეოტიპული ქცევა, (წეს-ჩვეულება, რიტუალი), რომელიც გამოხატულია მყარი ენობრივი ერთეულით. სვანური ხასიათდება არქულობით; ასევე *რიტუალების ამსახველი* და დარგობრივი, ყოფითი... ლექსიკის, ფრაზეოლოგიზმების, კოლოკაციების სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით.

სვანურში გამოვლინდა მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების, რიტუალების ამსახველი *ორ ათეულზე* მეტი კოლოკაცია (*ლახორთე ლიზი* „სულების წასვლა სამსჯელოდ“; *ლიქუნგვეში* „მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები“; *ქინი ლიტხე* „სულის დაბრუნება“; *ხოჩა ლაქუნ* „სასუფველი“ სიტყვასიტყვით „კარგი სულეთი“)...

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ამ კოლოკაციათა ეთნოლინგვისტური ანალიზი; შესწავლილია კოლოკაციათა გამოყენების *კონტექსტი*, *სტრუქტურა* და *სემანტიკა*. აღნაგობის მიხედვით სვანურში გვხვდება როგორც ზმნურ-კომპონენტისანი (მაგ. *ლახორთე ლიზი* „ლალხორში სულების წასვლა სამსჯელოდ“, *ლიქუნგვეში* „მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული რიტუალები“... ასევე ოდენ სახელური სტრუქტურის კოლოკაციები (*ხოჩა ლაქუნ* „სამოთხე“ (< „კარგი სულეთი“), *ხოჩა ნალხორ* „სულების კარგი ნამსჯელი“, *ჯოდი ჰამ* „სულების გაცილების რიტუალი“ (< გრძელი დილა“)...

<sup>1</sup> ქეთევან მარგიანი, ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

<sup>2</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № FR-21-2100).

ქართველოლოგიაში ითვლება, რომ ქართველურ ენათა შორის სვანური ყველაზე მეტად ხასიათდება არქაულობით. შესაბამისად, წეს-ჩვეულებებთან, რიტუალებთან დაკავშირებული სვანური ფრაზეოლოგიზმებისა და კოლოკაციების ეთნოლინგვისტური ასპექტით კვლევა იძლევა უაღრესად საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

**საკვანძო სიტყვები:** სვანური, არქაული, კოლოკაციები, რიტუალები.

**Ketevan Margiani<sup>3</sup>**

*Sokhumi State University*

### **Collocations Depicting Rituals Related to the Cult of the Dead in Svan<sup>4</sup> (Ethnolinguistic Analysis)**

**Abstract.** In ethnolinguistics, the term collocation refers to various stereotyped behaviors (customs, rituals) reinforced by tradition, which are expressed by a solid linguistic unit. Svan language is characterized by the richness, variety, and archaicness of vocabulary, phraseology, and collocations depicting different traditions and customs.

More than two dozen collocations depicting customs and rituals related to the cult of the soul and the dead are revealed in the Svan language. *Lakhorte lisi* (ლახორთე ლიში) refers to the gathering of souls and making future decisions about what will happen in the coming year; *Likungweshi* (ლიკუნგვეში) includes rituals related to the cult of the dead; *Kwini litkhe* (კვინი ლიტხე) means returning of the soul; *Khocha Lakun* (ხოჩა ლაქუნ) meaning heaven, a literal translation is „good abode of souls“, etc. The publication presents an ethnolinguistic analysis of these collocations. The context and structure of the use of collocations are studied.

Studies have shown that, according to the structure, there are collocations in Svan that are characterized by a verb component and a subject component *Khocha Lakun* (ხოჩა ლაქუნ) meaning heaven, a literal translation is „good abode of souls“, *Jodi Ham* (ჯოდი ჰამ) meaning ritual of sending away souls, a literal translation is „long morning“. In Kartveliology, it is considered that Svan is the most archaic among the Kartvelian languages. Accordingly, the ethnolinguistic research of Svan phraseology and collocations related to customs and rituals provides an opportunity to make extremely interesting conclusions.

**Key words:** Svan, Customs, Archaic, Collocation.

---

<sup>3</sup> **Ketevan Margiani**, Doctor of Philology, Associate Professor of Sokhumi State University

<sup>4</sup> The research was carried out with the financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (grant project No. FR-21-2100).

*ძირითადი კვლევა.* საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმითაა მითითებული სვანური ენის ლექსიკის სიმდიდრისა და არქაულობის შესახებ. მაგ. პრე ქართველურიდან მომდინარე და-ძმის აღმნიშვნელი ოთხი ლექსიკური ერთეული; სიარულის აღმნიშვნელი 300-მდე საწყისი და შესაბამისად ამდენივე ზმნაც სვანურისა. განსაკუთრებით მრავალფეროვანია სვანური დარგობრივი ლექსიკით, საყოფაცხოვრებო სიტყვებით, ეთნოგრაფიული მონაცემებით და მასალებით... სიმდიდრეს ქმნის ერთი და იმავე საგნის თუ მოქმედების ორი და მეტი სახელი ყველა დიალექტში, ლექსიკის სიმდიდრეს ასევე განაპირობებს დიალექტებში სხვადასხვა სახელწოდებით ან ერთი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარება, სიტყვაწარმოება აფიქსაციისა და კომპოზიციის მეშვეობით (თოფურია, 2002: 214).

სვანური ხასიათდება ასევე *რიტუალების ამსახველი ლექსიკის*, ფრაზეოლოგიზმების, კოლოკაციების სიმდიდრით და მრავალფეროვნებით. რამდენიმე სიტყვა ეთნოლიგვისტური ტერმინის - *კოლოკაციის* შესახებ: ნებისმიერი ხალხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მკაფიოდ თვალსაჩინოა ადამიანთა ურთიერთობების, ქცევის ნორმებისა და ქმედებების სტერეოტიპულობა, რაც განმტკიცებულია ტრადიციებით. ამგვარი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალებისთვის დამახასიათებელია მდგრადობა და რეგულარობა – ერთი და იმავე სახით მრავალჯერ განმეორებადობა, რაც სათანადო ასახვას ჰპოვებს ენაშიც: „ტრადიციებით გამაგრებული ესა თუ ის მყარი სტერეოტიპული ქცევა, ქმედება თუ მოვლენა (წეს-ჩვეულება, რიტუალი) ტრადიციული საზოგადოების დისკურსში მყარი ენობრივი ერთეულით – კოლოკაციით არის ხოლმე სახელდებული და გამოხატული“ (აზმაიფარაშვილი, 2020: 16).

წინამდებარე პუბლიკაციაში სულის და მიცვალებულის კულტის რიტუალებთან დაკავშირებული *კოლოკაციების საანალიზო მასალა* ამოკრებილია: სვანური ენის ლექსიკონებიდან; ბ. ნიჟარაძის, ივ. მარგიანის, ვ. ბარდაველიძის, ე. კოჟენიკოვას ეთნოგრაფიული მემკვიდრეობიდან... ე. გაზდელიანის, რ. გუჯეჯიანის, ნ. წერედიანის, ხ. იოსელიანის... პუბლიკაციებიდან.

საანალიზო მასალის დიდი ნაწილი წარმოდგენილია ასევე დალის ხეობის საექსპედიციო ჩანაწერებიდან 2006-2008 წლებში: მოგესხენებათ, დალის ხეობა ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. ამ მხარეს ანტიკურ ეპოქაში მივსიანეთი ანუ მისიმიანეთი ეწოდებოდა, შუა საუკუნეებში - დალის ხეობა, XIX საუკუნეში - წებელდა-დალის საბოქაულო, საბჭოთა ეპოქაში - აფხაზეთის სვანეთი, XXI საუკუნეში - ზემო აფხაზეთი (სახელწოდებათა ასეთი მრავალფეროვნებაც კი, ვფიქრობთ, თავისთავად მინიშნებს საქართველოს ისტორიაში ამ ხეობის განსაკუთრებულ როლსა და

მნიშვნელობაზე). *გასულ საუკუნეში პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე* თითქმის ათეული წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა დედაქალაქიდან (მაგ. ტოპონიმიკის ლაბორატორიის...) სამეცნიერო მივლინების განხორციელება მასალის ჩასაწერად და შესაკრებად ისტორიულ კოდორის ხეობაში. 1986-2008 წლებში მშობლიურ დალის ხეობაში ჩვენ (როგორც მკვიდრმა და არა თბილისიდან მივლინებულმა) ადვანსხეთ და ჩავიწერეთ მრავალფეროვანი დიალექტოლოგიური და ეთნოლინგვისტური მასალა... 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შედეგად, სამწუხაროდ, დალის ხეობის დედასამშობლოსგან დროებით მოკვეთის შემდგომ ამ მასალის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, უდავოდ გაიზარდა. შესაბამისად წინამდებარე კვლევაში დიდწილად არის წარმოდგენილი ისტორიული დალის ხეობის ეთნოლინგვისტური მასალები პირადი არქივიდან.

მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების, რიტუალების ამსახველი სვანური კოლოკაციებია:

- *ლიქუნგუში* „მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, ქელეხის (გასვენების, ორმოცის, წლისთავის) „ლიფანების“ რიტუალები“.
- *ლიჯგრი-ლიფანე* „მიცვალებულთა სახელზე საკურთხი ტაბლების დადგმა და ლოცვით მოხსენიება“.
- *ქუნარჭი ლისგუჩინე* „სულების გაცილება“ „სულების გაბრძანება“.
- *ლახორთე ლიზი / ლალხორთე ლიზი* „ლალხორში სულების წასვლა სამსჯელოდ“.
- *ჩაჩა ლიშდე / ჩაჩი ლიშდეჯღ* - წვერის მოკვეთის რიტუალი მეორმოცე დღეს. სიტყვა-სიტყვით „წვერის დაყრა“, „წვერის მოჭრა.“ ჩაჩა ლიქვცე „წვერის მოჭრა“.
- *ჩაჩი მუქვცე* „წვერის მოკვეთის რიტუალის შემსრულებელი“, ოჯახისთვის კი „გარდაცვლილის სიმბოლური სახე, სიმბოლური მონაცვლე“.
- *ტეტაქდარ/ტეტაქდრობ* „თანასოფლელების საკურთხი ტაბლა მიცვალებულის გასვენების წინა დღეს“. სიტყვა-სიტყვით ითარგმნება, როგორც „ნაცრის პური“.
- *ჯრდი ჰამ* „სულების გაცილების რიტუალი“.
- *ცოდე ლიხვაშინე* „ცოდვების მონანიება ქვების ტარებით“.
- *ცოდე მუხვაშინე* „ცოდვების მომნანიებელი გულსაკიდი ქვების ტარებით“.
- *ლაფანა ლიკდეჯღ* „საკურთხის ტაბლის და მიცვალებულის „ნახაზის“ აღება წლისთავზე.

- *ქუნრე ლიბგრდჷბი ქალიბგრდჷბი „სულეების გაცილება“.*

სვანურში გვხვდება საინტერესო ფორმა *ლიქუნაჭჷლ* „აგონია“, სულისა და სხეულის განყოფის პროცესი“ (სეგმენტაცია სიტყვისა ამგვარია: *ლი-ქუნ-აჭ-ჷლ*: *ლი* - მასდარის, საწყისის მაწამოებელია, *ქუნ* (< ქვინ) ძირია, -*ა* *ჭ* თემის ნიშანია, -*ჷლ* მრავალგზისობის სპეციფიკური მაწამოებელია). *ლიქუნაჭჷლ* ფორმის სიტყვა-სიტყვითი, ზუსტი ასახვა სალიტერატურო ფორმით რთულია. სემანტიკურ-ფილოსოფიური კუთხით თუკი გავანალიზებთ, სვანური *ლიქუნაჭჷლ*, *ეჩე ბუასდ* „საიქიო“ (მდრ. ძვ. ქართული „იმა სოფლად“), *ლახორთე ლიზი*...ლექსემები თუ კოლოკაციები ეთნოლინგვისტიკაა. ხალხური წარმოდგენები ძველი ქართული „იმა სოფლის“ (მდრ. სვან. „*ეჩე ბუასდ*“) ანუ საიქიო ცხოვრების შესახებ ასახულია ზეპირსიტყვიერებასა და მიცვალებულს კულტთან დაკავშირებულ რიტუალებში. სვანური ამ თვალსაზრისით მდიდარ ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ მასალას მოიცავს. თანამედროვე ლინგვისტიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სიტყვათა კომბინატორული პოტენციალის გამოვლენა სხვადასხვა ენებში, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა *კორპუსლინგვისტიკის* განვითარების პირობებში. ამასთან ერთად, ლინგვისტიკაში დღესაც აქტუალურ პრობლემად რჩება ენისა და კულტურის, ენისა და საზოგადოების, ენისა და ადამიანის ურთიერთმიმართება (ენა კულტურაში და კულტურა ენაში, ენა საზოგადოებაში და საზოგადოება ენაში, ენა ადამიანში და ადამიანი ენაში), რაც მოითხოვს, რომ ეს მიმართებები თვალსაჩინოდ იქნეს ნაჩვენები კონკრეტული ფაქტებით (აზმაიფარაშვილი, 2020).

მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული რიტუალების ამსახველი სვანური *კოლოკაციების* ძირითადი კომპონენტი არის ლექსემები - *ლი-ფჷნე, მგფჷნე, ლეფჷნე*...და *ლაქუნ* „სულეთი, სულისთვის განკუთვნილი ადგილი“. ამოსავალი არის ქვინ „სული“. სალექსიკონო მონაცემები ლექსემა სულზე: *ქჷინ* (ზს. ლნტ.) *ქუნ* (ლშხ.) 1. სული. 2. სუნი. *მუშჷჷნ მჷრა მუჷარ ხანწჷმ ლგდჷრი ქჷინ* „სვან კაცს ძალიან სწამს მიცვალებულის სული“. *ქუნჷრს ლაფანაჷი* „*სჷმჷხ ხასდიკ* „სულეებს კურთხევის (საკურთხის) დროს ხმაური სწყინთ“. *ქუნჷრს ეშუ ლჷდედ ლახორ ლოქ ხარხ* „სულეებს ერთი დღე თავყრილობა აქვთო“ (თოფურია, ქალდანი, 2000: 789). *ქუნარეში* – მიცვალებულთა მოსახსენებელი კვირეული (ლიპარტელიანი: 2014: 259).

*ლა-ქუნ* სვანურად სიტყვა-სიტყვით არის სულეთი, სულისთვის განკუთვნილი ადგილი; სწორედ *ლაქუნ*-ზე ეპითეტების *ხოჩა, ხოლა* დამატებით იწარმოება სვანურად სამოთხე და ჯოჯოხეთი ანუ *კარგი სულეთი* და *ცუდი სულეთი*. სინტერესოა ბ. ნიჟარაძის ცნობა ამასთან დაკავშირებით: „საიქიო სვანებს თავისებურადა აქვთ წარმოდგენილი; იგი ვრცელი მინდორია, და-

ფარული მუდამ მწვანე და ნოჩის ბალახით. ზემოდან ცა აფარია, აქვს ერთი კარი სულების შესასვლელი. ცხონებულნიც და წაწყმენდილნიც, ანუ სვანურიდამ რომ პირდაპირ გადმოვთარგმნოთ, კარგი სულისა და ცუდი სულის კაცები (*ხოჩა ი ხოლა ლაქვნა მარე*) ამ კარში შედიან. იქ კი ცხონებული კარგს „*ლაქუნთესკენ*“ (*სულის ადგილი, ან სასულეთი*) უხვევს, წაწყმენდილი კი – გლახა „*ლაქუნთესკენ*“. კარგი სასულეთი, ან ქართულად სამოთხე ამნაირად არის მოწყობილი (ნიჟარაძე, 1962: 178).

კარგი სასულეთის მოშორებით არის ერთი კუნჭული, სადაც განუწყვეტილი წყვილი ჰსუფევს (მუბირ უტკვინ). აქ არის სხვათა შორის ფისის ტბა (*ფისეში გვიბ*). ეს არის გლახა სულეთი, ანუ ჩვენებურად ჯოჯოხეთი (*ხოლა ლაქუნ*). მკითხველი ხედავს, რომ სვანების ჯოჯოხეთი ან სულეთი ისეთი საშინელება არ არის, როგორც ამას აგვიწერს ხოლმე ჩვენი სარწმუნოება, ე. ი. სვანეთის სასულეთში არა არის „ცეცხლი გენიისა“ და დაუშრეტელი კუპრის ტბა-მდინარეები, ქაჯ-ეშმაკთა ლეგიონი, გველ-ვეშაპნი და სხვანი მრავალნი. სვანების კარგი სასულეთიც, ან სამოთხე ბევრად ჩამოუვარდება ქრისტეს სასუფეველსა. აღსანიშნავია, რომ სვანების სამოთხეში მამა ღმერთს ადგილი არა აქვს და სული-წმიდის ხსენება სულ არ არის. სვანი არასდროს არ გაურევს ღვთის მსხვერპლს მიცვალებულის საკურთხს. პირველს ეძახის „*საღირბათ*“ (საღმრთო) და მეორეს „*საქუნ*“ (სულის საკურთხი) (ნაზგასმა ჩვენია - ე. მ.) (ნიჟარაძე, 1962: 179). წაწყმედილ სულად ვსთარგმნი სვანურ „*ქინი ლითვეფ*“-ს, თუმცა პირდაპირ „*ქინი ლითვეფ*“ ჰნიშნავს სულის დაკარგვას. მამასადამე, წაწყმედილი სული იგივე დაკარგული სულია (ნიჟარაძე, 1962: 180).

*ლიფანეს* სვანურში მოეპოვება სარიტუალო დანიშნულება, კერძოდ, დაკავშირებულია მიცვალებულის კულტთან და მისი მნიშვნელობაა „*მიცვალებულის სახელზე დადგმული ტაბლის დალოცვა, მიცვალებულთა სახელების დალოცვით მოხსენიება*“. *ლიფანჯლი* -*ჯღ* მრავალგზისობის სუფიქსითაა ნაწარმოები *ლიფანე* ლექსემიდან და აღნიშნავს სულების ოჯახებში სტუმრობის კვირეულს 18 იანვრიდან მომდევნო ორშაბათამდე; *ლიფანჯლის* რიტუალს ასე აღწერს ბ. ნიჟარაძე: ყოველს წელიწადს სულები საიქიოდამ (ზოგის სიტყვით, საფლავებიდან) სააქაოს მოვლენ, ჭირისუფალთ ესტუმრებიან. ეს მოხდება ხოლმე ხუთ იანვარს, რომელსაც ხალხი „*ადგომ*“-ს ეძახის (აღდგომა მკვდართა). ხუთს იანვრიდან იმის მომყოლ ორშაბათამდე ჭირისუფალი სადილ-ვახშმად საკურთხს უკეთებს მიცვალებულთა და ამიტომაც ამ დროს ეძახიან „*ლიფანალ*“-ს (ფან-იჯრა). თვით ორშაბათს, როდესაც „*ლიფანალ*“ ი თავდება, ეწოდება „*ლისგვჯინალ*“-ი (წაბრძანება სულთა) (ნიჟარაძე, 1962: 182).

ეთნოლინგვისტიკაში ითვლება, რომ კოლოკაციათა შესწავლისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული არა მხოლოდ სემანტიკა და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური თუ მორფოსინტაქსური ურთიერთობა კოლოკაციაში კომბინირებული სიტყვებისა, არამედ გარკვეული კონტექსტიც რომელშიც ესა თუ ის კოლოკაცია გამოიყენება. ეთნოგრაფიული კონტექსტის თვალსაზრისით საინტერესოა სვანური კოლოკაციები:

- *ტეტადჷრ / ტეტადრობ* „თანასოფლელების საკურთხი ტაბლები მიცვალებულის გასვენების წინა დღეს“ (< „ნაცრის პური“).
- *ჩჷჩი ლიშდჷლ* - წვერის მოკვეთის რიტუალი მეორმოცე დღეს.
- *ლაფანჷ ლიკდჷლ* „საკურთხის ტაბლის და მიცვალებულის „ნახაზის“ აღება ორმოცზე ან წლისთავზე.
- *ლახორთე ლოში* „ლახორში სულების წასვლა სამსჯელოდ“.
- *ჯრდი ჰამ* „სულების გაცილების რიტუალი“ (< გრძელი დილა).
- *ქვინი ლიტხე* „სულის დაბრუნება“.
- *ცოდჷ ლიხვანჷნი* „ცოდვების მონანიება ქვების ტარებით“.
- *ქუნრე ლიბგრდჷგი / ქალიბგრდჷგი* „სულების გაცილება“.
- *ქუნარჷბ ლისგჷჩინე* „სულების გაბრძანება“...

1927-1934 წლებში სვანეთში მცხოვრები, ნიკო მარის დავალებით გაგზავნილი, ევდოკია(დინა) კოქვენიკოვა ასე დეტალურად აღწერს *ლაფანჷ ლიკდჷლის* რიტუალს: *ლაფანჷ ლიკდჷლ* „საკურთხის სუფრის და ლოგინის აღება“. საკურთხის სუფრის და ლოგინის აღების (*ლაფანჷ ლიკდჷლ*) დღისთვის მიცვალებულის პატრონი ხარს და ღორებს დააყენებს გასასუქებლად. საკურთხის სუფრის აღების დღეს აკეთებენ ადამიანის „ნახაზს“. როგორც ცოცხალ ადამიანს, იმავე ფორმით ჩააცვამენ ტანსაცმელს. თუკი მამაკაცის საკურთხის სუფრის აღების დღეს, მამინ მამაკაცის მონახაზს აკეთებენ. ჩოხახალუსს მოაცვამენ, შარვალს ჩაცმევენ. პაჭიჭებსა (ზითხარალს) და ფეხსაცმელებში ჩააყოფინებენ ფეხებს, ქუდს და ყაბალახს დაახურავენ, ქამარს გაუკეთებენ და ხანჯალს შემოაბამენ. თოფს გადაჰკიდებენ. ამგვარად მოკაზმულ „ნახაზს“ მამაკაცისას საკარცხულზე დასვამენ. წინ დაუდგამენ ფიჩქს ანუ სკამტაბლას. ფიჩქზე დადებენ ერთ დიდ პურს, დებენ ასევე როგორც ხარის, ასევე ღორის თითო კერძ ხორცს. ფიჩქზე აუცილებლად დგამენ ერთ ბოთლ არაყს. ბოთლიდან ჭიქებში ასხამენ არაყს. სავსე ჭიქას დგამენ ფიჩქზე. თუკი ქალის, დედაკაცის საკურთხის სუფრის აღების დღეს, მამინ აკეთებენ ქალის „ნახაზს“ და იმას ქალის ტანისამოსს ჩააცვამენ. ქვედა ბოლოთი და ზედა ტანით შემოსავენ. ლეჩაქს დაახურავენ, ჩულქებს და ფეხსაცმელებს ჩააცვამენ. ძველ დროში ნაჭრის ტანისამოსი არ ჰქონდათ და ამიტომ შალის ტანსაცმელებს შეკერავდნენ ხოლმე და იმას აცვამდნენ, გა-

რედან კი – ტყაპუჭს. ადამიანის „ნახაზს“ რომ გააკეთებენ, მერე წინ დაუდგამენ საკურთხის ტაბლას – ფიჩქს. ხორცი, რაც კი რამ მოხარმეს, საკურთხის საგანგებო პურები ანუ ქაბბარ, არაყი და ყველანაირი კერძი უნდა დაიდოს ფიჩქზე. გრძელ ტაბლაზე აწყობენ ცხუნილებს, მოხარმულ კვერცხებს და ხილს. საკურთხის სუფრის მთავარი ატრიბუტი არის კარზი – მოხარმული და 2-3 მეტრის სიგრძეზე გაწელილი ყველი. კარზს ზემოდან გადაწელავენ ცხუნილარზე, კუბდარებზე, ჭიმდვარებზე, კვერცხებზე და ხილეულზე.

საკურთხის სუფრის აღებას (*ლაფანწ ლიკდწლს*) ვინც აკეთებს, იმისი ნათესავები, იმისი ოჯახიდან გათხოვილი ქალები, ასულები (ლაისუმა), ამ ასულების შვილები – ბადიშები, მოძმეები, ახალგაცნობილი ნათესავები, გარდაცვლილის ბიძა და მისი შვილები საკურთხის სუფრით და საბატკე ზვარაკით მიდიან მიცვალებულის ოჯახში ამ დღეს. *მიცვალებულის მონახაზის* წინ გააკეთებენ ტაბლას, ტაბლაზე ცხუნილებს, კვერცხებს, სხვადასხვა ხილს და კარზს დებენ. საკურთხის ტაბლაზე აუცილებლად დებენ მრგვლად შემწვარ გოჭს (ბატკს). *ლაფანწ ლიკდწლის* ტაბლის აუცილებელი ატრიბუტებია: ლეტვრე, ცხუნილ, თიგრწლ, კარზ... *თიგრწლ არის* სარჭისებიანი მრავალბოლოიანი თხილის ტოტი, რომელსაც ჯუჯა ხის ფორმა აქვს. *კვრცებ* და ხილებჩარჭობილ ამ *თიგრწლს* ბატკზე და ცხუნილებზე ჩაასობენ და აუცილებლად ჩადგამენ საკურთხის სუფრაზე.

კოკით (სტამაანშუ) არაყს დგამენ ტაბლაზე. საკურთხის ტაბლის გაკეთებას რომ დაასრულებენ, მერე ჭირისუფლები, ქალები იწყებენ მიცვალებულის დატირებას. დატირებით რომ გულ იჯერებენ, მერე მოჰყავთ მღვდელი. მღვდელი აკურთხებს ტაბლებს და მთელ სუფრას. კურთხევას (ლიჯგრის) რომ მორჩება, მღვდელი აიღებს ჭიქას ტაბლიდან, ასხამს პურზე და ხორცზე. ამ ტანისამოსს, ამ სამოსელს ჰქვია *საფას* და ტანისამოსი აუცილებლად ყველაფერი უნდა იყოს ახალი.

მღვდელი რომ კურთხევის ცერემონიალს შეასრულებს, მაშინ უკვე ტაბლებს და „ნახაზსაც“ იღებენ (კოჟევიკოვა, 1927: იფარი, საქადალდე # 12).

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ კოლოკაციაზე - *ლახორთე ლოზი / ლალხორთე ლოზი* „ლალხორში სულების წასვლა სამსჯელოდ“. სვანურში გვაქვს წარმოსახვითი გეოგრაფიული ადგილის აღმნიშვნელი ლექსემა *ლახორ / ლალხორ* სიტყვა, რომელიც სვანეთში ბჭობის ადგილის სახე-ლწოდებად შემორჩა დღემდე. ლახორ არ უნდა იყოს სვანური სიტყვა, რადგან ამ ტერმინში ძირია *ხორ*, რომელიც ბერძნულია და ნიშნავს ქვეყანას, ტომს, ხალხს (მიბიჟანი, 1986: 236). ლალხორი დანიშნულების მაწარმოებელი სუფიქსი ქართული სა-ს ბადალია. ამდენად ლახორ ნიშნავს სახალხო ადგილს, ხალხის თავშესაყარს. *ლა-ხორ / ლალ-ხორ* ლექსემასთან დაკავშირებით



სვანთა ეთნოგრაფიული ყოფიდან უაღრესად საინტერესოა იანვარში, *ლი-ფანჯლის* ანუ სულების მოხსენიების კვირეულში სულების საგანგებოდ წასვლა და გამგზავრება *ლახორ-თე*, რათა იმსჯელონ, გადაწყვიტონ მთელი წლის განმავლობაში ვინ წაიყვანონ იმა ქვეყნად, იმა სოფლად (სვან. *ეჩე ბუასდთე*); *ლახორ-ში სულები* სვანთა რწმენით რჩებიან ერთი დამის განმავლობაში და კვირა საღამოს შებინდებისას ბრუნდებიან. ოჯახის დიასახლისმა მათ ამ დროს უნდა დაახვედროს ცხელი ფაფა, რომლის ორთქლზეც თბებიან მთელი დამე შორეულ *ლა-ლ-ხორ-ში* ნამოგზაურები და ნამსჯელები სულები – *ქუნჯრუ*. ფაფა აუცილებლად უნდა უკურთხოს ოჯახის დიასახლისმა სანთლებით, შესანდობარითა და შემდეგი ტექსტით: *ხოჩა ნალხორ აწვიდე* „კარგი განაჩენი, კარგი *ნა-ლ-ხორ-ი* მოგვიტანეთ ოჯახისათვის“.

საინტერესოა საკითხი, როგორია სვანურ კოლოკაციათა სტრუქტურა ანუ კომბინატორული მექანიზმი: კოლოკაცია *ქვინეგვეშ* სვანურში კომპოზიტია და აღნიშნავს კონკრეტულ რიტუალს, სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „სულის საქმე“. *ლი-ქუნ-გაჭეშ-ი* < *ქვინეგვეშ / ქუნეგვეშ* საწყისია, *ლი-ი* კონფიქსით ნაწარმოები მასდარია და აღნიშნავს მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების პროცესს, ქმედებას მთლიანობაში: ქელეხის (გასვენების, ორმოცის, წლისთავის) „ლიფაანების“ რიტუალები.

*ქვინეგვეშ / ქუნეგვეშ* „სულის საქმეები“ კოლოკაციასთან არის დაკავშირებული ლექსემები: *მუქუნეგვეში* და *ლექუნეგვეში*. სალიტერატურო ქართულით ზუსტი თარგმანი რთულია, მით უფრო მიმღეობური ფორმით, ერთი სიტყვით გადმოცემა შესაბამისი სვანური სემანტიკისა:

*მუქუნეგვეში, ლექუნეგვეში* კოლოკაციათა სტრუქტურული ტიპი: არსებითი სახელი + არსებითი სახელი. *მუქუნეგვეში* < (*მუ-ქუნ-გვეშ-ი*) მოქმედებითი გვარის მიმღეობაა და გულისხმობს *ლიქუნეგვეშის* რიტუალის, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შემსრულებელს.

*ლექუნეგვეში* < (*ლე-ქუნ-გვეშ-ი*) კი ვნებითი გვარის მიმღეობაა; გულისხმობს მიცვალებულს, ვის სახელზეც *ლიქუნეგვეშის* რიტუალები უნდა შესრულდეს.

*ლიჯგრი-ლიფანჯე* „მიცვალებულთა სახელზე საკურთხი ტაბლების დადგმა და ლოცვით მოხსენიება“. *ლეჯგრი-ლეფანჯე* „მიცვალებული, ვის სახელზეც სრულდება რიტუალი საკურთხი ტაბლების დადგმით, შენდობით, მოხსენიებით, დალოცვით“. *მჯგრი-მჯეფანჯე* „მიცვალებულთა სახელზე საკურთხი ტაბლების დადგმული და მიცვალებულთა სულების ლოცვით მომხსენიებელი“.

*ქჭინი ლიტხე* „სულის მობრუნება“.

*ქჭინი ლიტხეში ლოც* „სულის მობრუნების ლოცვა“.

ქუინი მგტხე „ის, ვინც ასრულებს სულის მობრუნების რიტუალს“. (მაგ. ქუინი მგტხე მწრეს ხეკუეს ქუინი ლიტხეში ლოც ხოსალდღდს „მიცვალებულის სულის სახლში დასაბრუნებლად სულის დამბრუნებელმა ადამიანმა უნდა იცოდეს სულის დაბრუნების ლოცვა“ (ექსპედიციის მასალები, 2007 წ. დალის ხეობა).

ცოდვ ლიხვჷშინე ცოდვების თვითგამოსყიდვის, ცოდვების მომნაიების ერთგვარი რიტუალი ილლიაში გამოკერილი თუ გულსაკიდი ქვების ტარებით.

ცოდვ მუხვჷშინე „ცოდვების თვითგამომსყიდველი, მომნაიებელი გულსაკიდი თუ ილლიაში გამოკერილი ქვების ტარებით“ ე. ი. ამ მძიმე რიტუალის აღმსრულებელი.

ტგტადჷრ „თანასოფლელების საკურთხი ტაბლა მიცვალებულის გასვენების წინა დღეს“ სიტყვა-სიტყვით „ნაცრის პური“.

ტგტადჷრობ კი ჰქვია რიტუალს. ნაწარმოებია ქართული აბსტრაქტულობის -ობ სუფიქსით ლექსმიდან ტგტადჷრ. ტგტ-ა-დჷრ-ობ (< ტგტადჷრ). თანასოფლელების მიერ მომზადებული და მოტანილი საკურთხი ტაბლების ლიფაანე მიცვალებულის გასვენების წინა დღეს. სიტყვა-სიტყვით იქნება „ნაცრის პურობის რიტუალი“. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ე. კოჟენიკოვას ერთი ცნობა: „გასვენების წინა დღეს ტგტადჷრს ვაკეთებთ მთელი სოფელი და მიგვაქვს მიცვალებულის ოჯახში პური. საძმოდან ოჯახს 30 პური მიაქვს, დანარჩენ სოფლელებს 20 და მთელი სოფელი მივდივართ იმ ოჯახში“. კოჟენიკოვა დეტალურად აღწერს, რომ ტგტადჷრობზე, როცა მთავრდება ლიკჷრჷლის რიტუალი, მუხლმოდრეკილი ჭირისუფლები მხოლოდ მაშინ დგებიან ჩოქებიდან.

ლიკჷრჷლ „მრავალგზის ვედრება, შემოვედრება“. სეგმენტაცია: ლიკჷრ-ჷლ, სადაც ლი თავსართი არის მასდარის, საყისის მაწარმოებელი, -კჷრ-არის ძირი; -ჷლ/-დჷლ სუფიქსი ამ ნაზმნარ სახელში არის მოქმედების მრავალგზისობის მარკერი. ეს კი სვანურის სპეციფიკაა. მოქმედების მრავალგზისობის კატეგორია არ იცის თანამედროვე სალიტერატურო ქართულმა (მდრ. ძველი ქართული ენა V-XI საუკუნეებისა). გენუზისურად მრავალგზისობის -ჷლ სუფიქსი აღნიშნულ კოლოკაციებს ვნებითობის შინაარსს, პასივის სემანტიკას სძენს, რაც კონტექსტით განსაკუთრებით კარგად ჩანს ხოლმე სვანურში, თუმცა სრულებით ვერ აისახება სალიტერატურო ქართულში, რადგან თარგმანი (მაგ. ლიკჷრჷლ/ლიკჷრუნე „ვედრება, შევედრებიანება“) ვერ ასახავს ამ ფორმებს შორის სვანურ რიტუალში და შესაბამისად კოლოკაციაში არსებულ შინაარსობრივ სხვაობას.

ეთნოგრაფები აღნიშნავენ, მაგ. ე. კოჟევნიკოვა სიტყვა-სიტყვით განმარტავს, რომ ერთ კონკრეტულ რიტუალს ჰქვია *ქეშგერაშ*. < \*ქი-ეს-ჯგერაშ – „აქ ერთნი ვიყავით და იქაც ერთად ვიქნებით, იმ ქვეყნად, შენი მომსახურე ვიქნები იმ ქვეყანაში“. *ქეშგერაშის* რიტუალი მოიცავდა მიცვალებულისთვის არა მხოლოდ საკურთხი ტაბლების, ასევე სამოსის, ცხენის, სხვადასხვა ძვირფასი ნივთების თუ საგნების მიძღვნას და კურთხევას.

*ქეშგერაშ* < \*ქი-ეს-ჯგერაშ /*ქემ* < \*ქი-ეს) გენეზისი დამახასიათებელია სვანურისათვის; მას შესაბამისი გარემო და ფონოტაქტიკის წესები განაპირობებს.

ცნობილია, რომ ყოველი ენა თავისი *სემანტიკური სტრუქტურით* გამოირჩევა. „რამდენადაც ენა გვეძლევა არა ზოგადი ფორმით, არამედ როგორც მხოლოდ დედაენა, ე. ი. გარკვეული ენის ქართულის, ფრანგულის, ჩინურის... სახით, „მსოფლხედვა“ დედაენისეულია და ყოველ ენას (დედაენას) სამყაროს *ენობრივი მოდელირების საკუთარი წესი*, სამყაროს ენობრივი გადამუშავების საკუთარი „მსოფლხედვა“ აქვს. ზემორეგანხორციელებული სვანური რიტუალების ამსახველი კოლოკაციების ეთნოლინგვისტური ანალიზისა და ვ. ფ. ჰუმბოლდტისეული კონცეფციის - დედაენისეული მსოფლხედვის კონტექსტში ყურადღება შეიძლება გამახვილდეს ერთ გარემოებაზე:

მიცვალებულის კულტთან, სულთან... დაკავშირებული რიტუალების ამსახველი სვანური კოლოკაციების – *ლიქუნგუში, ლალხორთე ლოში, ქუნარუბ ლისგუჩინე, ჩაჩა ლიმდალო, ხოჩა ნალხორ...* სვანური სინტაგმების სალიტერატურო ქართულზე ზედმიწევნით თარგმნა თითქმის შეუძლებელია, ლიტერატურული ფორმით გადმოცემა და სვანურის შესაბამისი სემანტიკის სრულყოფილად ასახვა (მით უფრო სინტაგმური სახით გადმოტანა) სირთულეებთან არის დაკავშირებული. სწორედ იმიტომ რომ ეს სვანურის არქაულობის სპეციფიკაა; „საოცარი“ და ძალზედ შთამბეჭდავი სინტაქსური ფორმებია, და *ლინგვისტურად* სწორედ იშვიათი სრულყოფილებით ასახავს ამა თუ იმ ეთნოგრაფიულ რიტუალს, ამა თუ იმ წეს-ჩვეულებას, რომელსაც ასეთი გულმოდგინებით ასრულებდნენ სვანები მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, სავარაუდოდ, ქრისტეს წინარე ეპოქაშიც და XX საუკუნეშიც, კომუნისტური აკრძალვების და იძულებების მიუხედავადც კი. სწორედ ამიტომ, ამგვარი და სხვა არაერთი სპეციფიკური წეს-ჩვეულებისა თუ რიტუალის გამოცაა, რომ ქართველოლოგები სვანეთს – ქართული კულტურის ნამდვილ სავანეს, სრულიად დამსახურებულად უწოდებენ საქართველოს ოლიმპოს და *ეთნოგრაფიულ „კალიდოსკოპს“*, სვანურ ენას კი – *ქართველოლოგიის „ოქროს ზოდს“* (ა. არაბული). სვანეთი ხომ ქართული ეთნიკური სამყაროს, ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის უძველესი კერაა, სვანები

თავიანთი სამეურნეო, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრებით უხსოვარი დროიდანვე ქმნიან ქართველი ერის ერთიან ისტორიას.

საყურადღებოა ერთი ასპექტიც: სულთან და მიცვალებულის კულტ-თან დაკავშირებულ რიტუალებსა და წეს-ჩვეულებებში სვანურში თანამედროვე ქართული, თუმცა წარმოშობით ბერძნული სიტყვის – *ეკლესიის* სინონიმად მუდმივად გვხვდება სვანური *ლაჯუმი* /*ლაჯუშ* ლექსემა. *ეთნოლინგვისტური* ასპექტით ასევე საინტერესოა ამ სიტყვის *ლაჯუმი* „ეკლესია“ ეტიმოლოგია, გენეზისი, წარმომავლობა და სემანტიკა თანამედროვე სვანურში: *ლაჯუმი* /*ლა-ჯუმ-ი* < სვან. *მა-ჯუმ* „მადლობა“, *ნა-ლ-ჯუმ-ი* < სვან. \**ნა-ლა-ჯუმ-ი* „ნაეკლესიარი“; სვან. *ლაჯუმი* /*ლაჯუშ* სიტყვასიტყვით ნიშნავს „სამადლო, სამადლიერო“.

*ლაჯუმ-ი* ძღუდისგა მესუფელა თემნი თემნ ისგურის (კოჟევიკოვა: იფარი, საქალაქი, # 2, გვ. 66) „*ეკლესიის გაღაჯანში* სოფლის მკვიდრნი თემების მიხედვით სხდებიან“. რელიგიური და სახალხო დღესასწაულები მუდამ, შუა საუკუნეებშიც და შავბნელ საბჭოთა ეპოქაშიც კი მთელი პომპეზურობით, ზედმიწევნით, მთელი სიზუსტით სრულდებოდა სვანეთში. სვანური *მეშხირ* ხომ არქაული ქართული მლოცველია. სალოცავი *ლეშხირის მზირისადმი* ზე *აღმჯლენი*. სვანურში მზის საკრალური დღე კვირა დღეა: სვან. მიშლადედ < მიჟ ლადად – მზის დღე! ქრისტიანობამ ამ დღეს კვირიაკე ანუ საუფლო უწოდა (ჯავახიშვილი, 1979: 171). შესაბამისად, მკვლევართა აზრით, სვანურ ხალხურ დღეობებში დამარხული რელიგიური სივრცე საკმაოდ ძველია, არქულია.

საინტერესოა *ლიფანჯლის კვირულის* ერთი რიტუალი, რომელიც ოთხი სინონიმური კოლოკაციით აღინიშნება; ეს არის რიტუალი ზამთარში, საიქიოდან სულების ოჯახებში სტუმრობის დასასრულს, ორშაბათ დილას, რიჟრაჟზე, გამთენიისას მთელი პომპეზურობით და წესების დაცვით, საკურთხე ტაბლით, ლოცვით, დიდი მოკრძალებით და ვედრებით სულების გაცილებისა. ეს კოლოკაციებია: *ჯოდლი ჰამ* „გრძელი დილა“. *ქუნრე ქალიბგრდჷგი* „სულების გასტუმრება, სულების გაცილება“. *ლიჰლომალი* /*ქუნარჷრ ქალი-სგჷჯინე* „სულების გაბრძანება“. (*ლიჰლომალი* (< ლი-ჰლომ-ლი-ი) ლექსემის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა ვერც სვანურ ლექსიკონებში და ვერც ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვერ მოვიძიეთ, მიუხედავად არაერთ ინფორმატორთან გადამოწმებისა).

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გვხვდება ამ რიტუალის შემავსებელი დამატებითი ნიუანსებიც; მაგ. „*ჯოდლი ჰამ* ლეთ *ქუნრე ქანაბგრდჷუნდო* ლი ლენყე ლემზირანლ. ხემზირხ ნესკვლდჷში თწრინგზელს: დიდბი ლეჰედ ნესკვლდჷში თწრინგზელ, ნიშგვე ქორწ მერდე მწრე ლწხგნთხილ ლესგი

მზიგზნ დიდბი ლეკედ.ლემზირილწრ უწნად ლიხ ლენყე ი ჩულეთფე (ინ-ფორმატორი სარინო ფარჯიანი, 1996 წ.).

„ჯრდი ჰამის შემდეგ სულების გასტუმრებისთანავე დასაცნობია ლემზირები. ილოცებიან ნესკვლდშის თწრინგზელსთვის – დიდების მიმღებო ნესკვლდშის თწრინგზელო, ჩვენი ოჯახის წევრები დაიცავი ტკივილისგან, დიდება მოსასვლელო. ლემზირები უწნად არის დასაცნობი და მისართმევი“ (წერედიანი: 2004: 360).

ეთნოგრაფიულ კონტექსტთან ერთად საინტერესოა კოლოკაციათა სტრუქტურა, აღნაგობა. ამა თუ იმ მეტყველების ნაწილთა როლი და წილი მყარი ენობრივი ფორმების „შენების“ საქმეში. ეთნოლიგვისტიკაში დადგენილია, რომ ზმნურკომპონენტის სტრუქტურის კოლოკაციებით სახელდებულია ადამიანთა ქცევები და ქმედებები (წეს-ჩვეულებები და რიტუალები), ხოლო დანარჩენი სტრუქტურის კოლოკაციებით – ამ ქცევებსა და ქმედებებთან დაკავშირებული ესა თუ ის მოქმედი პირი, მოქმედების საგანი, მოქმედების თვისება, მოქმედების ადგილი და სხვ. სვანურში მიცვალეზულის კულტთან დაკავშირებული რიტუალების ამსახველი ზ მ ნ უ რ კ მ პ ო ნ ე ნ ტ ი ა ნ ი სტრუქტურის კოლოკაციებია:

- *ჩწწ ლიმდწლ /ჩწწ ლიქვე* წვერის მოკვეთის რიტუალი მეორმოცე დღეს.
- *ქვინი ლიტხე* „სულის დაბრუნება“.
- *ლაფწწლიკდწლ* „საკურთხის ტაბლის და მიცვალეზულის „ნახაზის“ აღება წლისთავზე“.
- *ლალხორთე ლწი* „ლალხორში სულების წასვლა სამსჯელოდ“.
- *ქუნწრწრ ლისგწჩინე* „სულების გაბრძანება“.
- *ქუნრე ქალიბგრდწი* „სულების გაცილება“.
- *ლიქუნგწეში* „მიცვალეზულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები“.
- *ცოდწ ლიხვწწინე* „ცოდვების მონანიება ქვების ტარებით“.

არსებითთან ერთად ზედსართავი სახელი ატრიბუტების, ეპითეტების როლში მონაწილეობს შემდეგ ფრაზემებში ანუ ოდენ ს ა ხ ე ლ უ რ კ ო მ პ ო ნ ე ნ ტ ი ა ნ ი სტრუქტურის სვანური კოლოკაციებია:

- *ჩწწ მუქვე* „წვერის მოკვეთის რიტუალის შემსრულებელი“.
- *ლწწაჟი მეგნე* „წვერის მოკვეთის რიტუალის შემსრულებელი, ოჯახისთვის გარდაცვლილის სიმბოლური სახე, სიტყვასიტყვით „ადგილზე დაყენებული“.
- *ქვინი მგტხე* „სულის დაბრუნების რიტუალის შემსრულებელი“.

- ხოჩა ლაქუნ „სასუფეველი“ < „კარგი სულეთი“.
- ხოლა ლაქუნ „ჯოჯონეთი“ < „ცუდი სულეთი“.
- ხოჩა ნალხორ „სულების კარგი ნამსჯელი“.
- ხოჩა ლაქუნ მარე „სასუფეველში მოხვედრილი“ < „კარგი სულეთის ადამიანი“.
- ხოლა ლაქუნ მარე „წარწყმედილი“ < „ცუდი სულეთის ადამიანი“.
- ჯრდი ჰამ „სულების გაცილების რიტუალი“ < „გრძელი დილა“.

ამრიგად, სვანური ხასიათდება არქაულობით და რიტუალების ამსახველი ლექსიკის, ფრაზეოლოგიზმების, კოლოკაციების სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით. (ტერმინით კოლოკაცია ეთნოლიგვისტიკაში აღინიშნება ტრადიციებით გამაგრებული სხვადასხვა სტერეოტიპული ქცევა, (წეს-ჩვეულება, რიტუალი), რომელიც გამოხატულია მყარი ენობრივი ერთეულით).

სვანურში გამოვლინდა მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების, რიტუალების ამსახველი ორ ათეულზე მეტი კოლოკაცია: ქვინი ლიტხე „სულის დაბრუნება“. ხოჩა ლაქუნ „სასუფეველი“ სიტყვა-სიტყვით „კარგი სულეთი“. ლახორთე ლოხი „ლალხორში სულების წასვლა სამსჯელოდ“ ჯრდი ჰამ „სულების გაცილების რიტუალი“...

ზემორე კვლევაში წარმოდგენილია ამ კოლოკაციათა ეთნოლიგვისტური ანალიზი; შესწავლილია კოლოკაციათა გამოყენების კონტექსტი და სტრუქტურა. გაირკვა, რომ აღნაგობის მიხედვით სვანურში გვხვდება როგორც ზმნურკომპონენტისანი (ქუნარჷრ ქალისგჷჩინე „სულების გაცილება“ „სულების გაბრძანება“...), ასევე ოდენ სახელური სტრუქტურის (არსებითი სახელი + არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი, მიმღეობა + არსებითი სახელი, არსებითი სახელი + მიმღეობა...) კოლოკაციები (ხოჩა ლაქუნ „სამოთხე“ (< „კარგი სულეთი“). ჯრდი ჰამ „სულების გაცილების რიტუალი“ (< გრძელი დილა“)... ხასგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული სვანური ფრაზეოლოგიზმებისა და კოლოკაციების ეთნოლიგვისტური ასპექტით კვლევა იძლევა უაღრესად საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

აზმაიფარაშვილი, ლ. (2020). ლევან აზმაიფარაშვილი. სიტყვაწარმოებისა და ფრაზეოლოგიის ეთნოლიგვისტური შესწავლისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. 48. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

- თოფურია, ვ. (2002). ვარლამ თოფურია. სვანური სინტაქსი. შრომები, ტ. II. თბილისი, გამომცემლობა „ქართული ენა“.
- თოფურია, ვ. ქალდანი, მ. (2000). ვარლამ თოფურია, მაქსიმე ქალდანი. სვანური ლექსიკონი. თბილისი, გამომცემლობა „ქართული ენა“.
- კოჭევნიკოვა, ე. (1927). ევლოკია (დინა) კოჭევნიკოვა. სვანური ტექსტები [ხელნაწერი 1200 გვერდი].
- ლიპარტელიანი, ა. (1994). ასლან ლიპარტელიანი. სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო). თბილისი.
- მიბჩუანი, თ. (1989). თემურ მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ნიჟარაძე, ბ. (1962). ბესარიონ ნიჟარაძე. თავისუფალი სვანი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- სწდ (1986; 1988). სვანეთის წერილობითი ძეგლები, (ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ). ტ. I. ტ. II. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ფენრიხი, ჰ. სარჯველაძე, ზ. (1990). ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ჯავახიშვილი, ივ. (1979). ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.